2024 წლის ქართველოლოგიის კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. **პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს თუ არა დოქტორი?**
   პასუხი: არ არის სავალდებულო, რომ პროექტის ხელმძღვანელი იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც დოქტორის, ასევე მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხის მქონე პირი, ან დოქტორანტურის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც კონკურსში პროექტის წარმოდგენის მომენტისათვის ირიცხება დამამთავრებელ ან მის წინა კურსზე.

2. **შესაძლებელია თუ არა ძირითადი პერსონალი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე?**
   პასუხი: დიახ, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა პროექტის ძირითადი პერსონალი ასევე შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, ასევე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი.

3. **მიმდინარე ფუნდამენტური გრანტების პროექტის ხელმძღვანელს თუ შეუძლია ამ პროექტის ხელმძღვანელიც იყოს?**
   პასუხი: დიახ, შესაძლებელია, თუ ჩართულია მხოლოდ ერთ მიმდინარე პროექტში.

4. **თუ მონაწილეობს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში, თუმცა შედეგები არ არის ჯერ ცნობილი, ხომ არ ეკრძალება მონაწილეობა ამ კონკურში?**
   პასუხი: არა, არ ეკრძალება. შეზღუდვა შეეხება მხოლოდ ფონდის მიერ ადმინისტრირებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ ერთზე მეტ მიმდინარე პროექტში ჩართულ პირებს.

5. **ახალგაზრდა მეცნიერის პროექტის პერსონალში გათვალისწინება სავალდებულოა?**
   პასუხი: არა, არ არის სავალდებულო.

6. **მაქსიმალური ბიუჯეტი 150 000 ლარი ორწლიანი პროექტებისთვისაა, თუ ერთწლიანიც შეიძლება იყოს?**

პასუხი: პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი - 150 ათასი ლარი - არ არის დამოკიდებული პროექტის ხანგრძლივობაზე. ბიუჯეტის მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხარჯვითი კატეგორიების კომბინაციაზე.

7. **60 000 ლარიან შეზღუდვაში სახელფასო ფონდი შედის, თუ არა?**

პასუხი: არა, 60 000 ლარის ლიმიტი შეეხება მხოლოდ პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ ხარჯებს. პროექტის ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება განისაზღვრება კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით, ხოლო დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ამავე მუხლის მე-6 პუნქტებით დადგენილი წესებით.

8. **სტატიის, ან მონოგრაფიისათვის არსებული ლიმიტები ჯამურია, თუ თითოეული სტატიისთვისაა დაწესებული?**

პასუხი: პროექტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ ერთი და იგივე შედეგი არ მეორდებოდეს. შესაძლებელია დაგეგმოთ ორი ან სამი შედეგი: ერთი სტატიის გამოქვეყნება (ან გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება) და ერთი მონოგრაფიის (ბეჭდური ან/და ელექტრონული) გამოცემა. სტატიისათვის შეგიძლიათ მოითხოვოთ მაქსიმუმ 3 000 ლარი. მონოგრაფიის შემთხვევაში, გამოცემის ფორმატის შესაბამისად, შეგიძლიათ მოითხოვოთ ბეჭდური გამოცემისათვის მაქსიმუმ 5 000 ლარი, ხოლო ელექტრონული გამოცემისათვის - მაქსიმუმ 1 500 ლარი.

9. **შესაძლებელია თუ არა მონოგრაფიის ინგლისურად თარგმნის ხარჯის გათვალისწინება?**

პასუხი: დიახ, თარგმანთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს მონოგრაფიის გამოცემის ხარჯში.

10. **მხოლოდ თარგმანი თუ შეიძლება იყოს პროექტი?**

პასუხი: არა, კონკურსის მიზანია უზრუნველყოს ქართველოლოგიის მიმართულებით ახალი ჰიპოთეზებისა და კონცეფციების, შეუსწავლელი ან უცნობი მოვლენების, ფაქტებისა თუ მონაცემების შესწავლა-ანალიზი და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვლევების განხორციელება.

11. **შეიძლება თუ არა პროექტში დავგეგმო მასტერკლასის ჩატარება?**

პასუხი: დიახ. ასეთ შემთხვევაში უნდა პროექტში უნდა ასახოთ „სხვა შედეგი“, დააკონკრეტოთ შედეგი „მასტერკლასი“ და აღწეროთ მისი ფორმატი, სამიზნე აუდიტორია, შედეგის მიღწევის დამადასტურებელი მასალა.

12. **ითვალისწინებს თუ არა ინდივიდუალური პროექტი ზედნადების ხარჯს?**

პასუხი: არ ითვალისწინებს. ზედნადები ხარჯი არის პროექტის წამყვანი და

თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯი. ვინაიდან ინდივიდუალურ პროექტს არ ჰყავს წამყვანი ორგანიზაცია, ზედნადები არ უნდა იყოს გათვალისწინებული.

13. ვინ განახორციელებს საპროექტო წინადადებების შეფასებას?

პასუხი: კონკურსის პირობების შესაბამისად წარმოდგენილ პროექტებს აფასებს საკონკურსო კომისია - ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფი. კომისია პროექტებს შეაფასებს 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე შეფასდება პროექტის სამეცნიერო მნიშვნელობა, რომლის დროსაც საკონკურსო კომისიისთვის დაფარული იქნება პროექტის წარმდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების ვინაობა, ხოლო მეორე ეტაპზე - პროექტის განმახორციელებელთა კომპეტენციების, კვლევისათვის არსებული და დაგეგმილი რესურსების, განხორციელების გეგმა-გრაფიკისა და პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის სამეცნიერო მიზნებთან.